

გრიპის ლაბორატორიების მუშაობა პანდემიური (H1N1) 2009 -ზე

შესავალი

როდესაც აპრილში გამოიყო გრიპის ახალი ვირუსი, რომელიც ახლა უკვე ცნობილია, როგორც პანდემიური (H1N1) 2009, ლაბორატორიების ქსელმა მთელს მსოფლიოში დაიწყო მეტად მნიშვნელოვანი და რთული მუშაობა შემთხვევების გამოკვლევისა და გამოვლენისათვის. პანდემიის გავრცელების, ვირუსის სტრუქტურის და ხასიათის აღწერისათვის ჯანმრთელობის სპეციალისტები და საზოგადოება ეყრდნობა ლაბორატორიების მუშაობას.

ქვეყნები, სადაც დაფიქსირდა პირველი შემთხვევები, ცდილობენ გამოავლინონ რაც შეიძლება მეტი შემთხვევები. რაც უფრო ფართოდ ვრცელდება ინფექცია და საზოგადოებაში ტრანსმისია, იცვლება კვლევის მეთოდები, რათა მოხდეს ვირუსის გამოვლენა ახალ არეალებში, დადასტურდეს მძიმე შემთხვევები, გამოკვლეულ იქნას დაავადების კლასტერები და მოხდეს საზოგადოებაში ვირუსზე მონიტორინგი.

ახლა, ზამთრის დასაწყისს, როდესაც შემთხვევების რიცხვი გაიზარდა მთელს ევროპაში, გრიპის ლაბორატორიების მუშაობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე.

როგორ ხდება პანდემიური (H1N1) 2009 გრიპის გამოკვლევა?

დიაგნოსტიკური გამოკვლევის პროცესი მსგავსია ყველა ლაბორატორიაში

ნაცხის აღება ხდება ცხვირიდან ან ყელიდან, შესაძლო პანდემიური (H1N1) 2009 ვირუსული ინფექციის მქონე შემთხვევიდან. შემდეგ იგზავნება ლაბორატორიაში; ზოგჯერ ნიმუში შესაძლოა განაწილდეს პარალელური ან შემდგომი ანალიზისთვის სხვა ლაბორატორიაში.

როდესაც ნიმუში მოდის, მისი გახსნა ხდება შესაბამისი ბიოუსაფრთხოების წესების დაცვით, რაც იცავს თანამშრომლებს ინფიცირებისგან, ნიმუშს და გარემოს დაზინძურებისგან. ეს ყველაფერი მოითხოვს, რომ ლაბორატორიის თანამშრომლებს ეცვათ სპეციალური ტანსაცმელი და ნიმუში უნდა გაიხსნას უსაფრთხო კაბინეტში, სადაც კონტროლდება ჰაერის ნაკადი. პანდემიური (H1N1) 2009-ს დადასტურება კლინიკურ ნიმუშებში ხდება პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქციით (პჯრ), პირველი საფეხური არის რეაგენტის დამატება ნიმუშის ნაწილზე, ვირუსის დეაქტივაციისათვის.

პჯრ ანალიზი გრძელდება 8 საათი, რის შემდეგაც ნიმუში ან არის იდენტიფიცირებული, როგორც პანდემიური (H1N1) 2009 ვირუსული ინფექცია, ან უარყოფითია. საჭიროების შემთხვევაში ნიმუში იგზავნება პარტნიორ ლაბორატორიაში ან ჯანმო-ს ცენტრში, დადასტურებისა და დამატებითი ანალიზისთვის, რაც მნიშვნელოვანია ვაკცინური შტამისა და ანტივირუსული მიმდებლობის განსაზღვრისთვის, ასევე ვირულენტობაში ცვლილებებზე მონიტორინგისათვის.

შემდეგ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ადგილობრივ და საერთაშორისო ავტორიტეტებს (მ.შ. ჯანმო), საავადმყოფოს ან ექიმს და პაციენტს.

ტესტ კიტები და გამოკვლევის პროცედურები განისაზღვრა აშშ-ში დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის მიერ და გავრცელდა ჯანმო-ს მიერ. ზოგიერთმა ქვეყანამ, მათ შორის ნიდერლანდებმა და გაერთიანებულმა სამეფომ, განავითარეს საკუთარი გამოსაკვლევი პროცედურები და ტესტ კიტები.

ინდივიდუალური შემთხვევების გამოკვლევის გარდა, ლაბორატორიები აანალიზებენ ნიმუშებს, რათა შეისწავლონ 2009 წლის აპრილში იდენტიფიცირებული ვირუსის ვარიაციები.